ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ბიზნეს სესხის ხელშეკრულება N _____

ქ. _____

_____ 2024

სესხის საპროცენტო განაკვეთი:

- საპროცენტო სარგებლის ტიპი - ფიქსირებული.
- სესხის საპროცენტო განაკვეთი, წლიური: _____ %
- სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, წლიური: _____ %

ფინანსური ხარჯები:

- ყოველკვირეული შენატანები (ძირითადი თანხა + პროცენტი) _____ ლარი
- სესხის გაცემის ერთჯერადი საკომისო: _____ ლარი;

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:

- სესხის მთლიანი (ძირითადი) თანხა: _____ ლარი
- მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა (სესხის ძირითადი თანხა და ფინანსური ხარჯი) _____ ლარი
- სესხის ვადა: _____ დღე
- სესხის ხელშეკრულების ვადა: _____ დღე
- თქვენ უფლება გაქვთ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ვადით, უპირობოდ და ყოველგვარი ხარჯის გარეშე მოითხოვოთ ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის ვადის გახანგრძლივება.
- სესხის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებელს არ ეკისრება რაიმე სახის საჯარიმო სანქცია ან საკომისიოს გადახდა.
- პირგასამტეხლო გადახდის ვადის გადაცილებისას - ერთჯერადად 20 ლარი და ასევე ვადაგადაცილების მომენტში არსებული ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- მსესხებლის მიერ თანხის მობილური გადახდის აპარატებით (ე.წ. „პოკეტი“) გადახდისას, მსესხებელს დაეკისრება საკომისიო, რომლის გამოთვლის პრინციპი არის შემდეგი: ყოველდღიურად დარიცხული სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის 0.27%, სესხის გაცემიდან ან ბოლო გადახდიდან (რომელიც უფრო გვიანდელი თარიღია) იმ დღემდე, როცა მსესხებელი ისარგებლებს „პოკეტის“ მომსახურებით. აღნიშნული საკომისიო მსესხებელს არ ერიცხება/არ ეკისრება, თუ თანხებს გადაიხდის გამსესხებლის სალაროში ან ჩარიცხავს/შეიტანს გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე.

- ამასთან, ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ გადააჭარბებს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის.

- ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული

ხარჯების (მათ შორის %) ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

- მსესხებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ხელშეკრულების 5.6 პუნქტში განსაზღვრული წესის შესაბამისად.

- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სტანდარტ ფინანსის“ წინაშე არსებული პრეტენზიები მსესხებელს შეუძლია წარადგინოს ზეპირად ან თავისუფალი წერილობითი ან სტანდარტული წერილობითი ფორმით გამსესხებლის ნებისმიერ ფილიალში ან ელექტრონული ფოსტის info@familycredit.ge მეშვეობით, რომელიც განხილული იქნება მაქსიმუმ 1 თვის განმავლობაში. განხილვის წესი და პროცედურა განთავსებულია ვებ გვერდზე http://familycredit.ge

გაეცანით მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე 0 32 2 406 406

სესხის ხელშეკრულება N _____

ქ. _____ _____ 2024

გამსესხებელი - შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "სტანდარტ ფინანსი" ს/ნ 412717476, წარმოდგენილი _____ პ/ნ _____ სახით მოქმედი მინდობილობის საფუძველზე. საკონტაქტო მისამართი: _____, საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა: info@familycredit.ge საკონტაქტო ტელეფონი 032 214 83 82

მსესხებელი - ფიზიკური პირი _____ პ/ნ _____ საკონტაქტო მისამართი: _____ , საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა: _____ საკონტაქტო ტელეფონი _____ .

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სტანდარტ ფინანსში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სტანდარტ ფინანსი“. არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

გამსესხებლის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, მის: თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2.

მსესხებლების სამართლებრივი სტატუსის შესახებ [მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ სესხის გაცემა ხდება თანამსხებლებზე]:

- წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მსესხებლები წარმოადგენენ თანამსესხებლებს და შესაბამისად სოლიდარულ მოვალეებს გამსესხებლის მიმართ.
- წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინი „მსესხებელი“ გულისხმობს წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერ ყველა მსესხებელს.
- ერთ - ერთი მსესხებლის მიმართ ან/და მიერ გამოხატული ნება ვრცელდება ყველა მსესხებელზე.
- არც ერთ მსესხებელს არ შეუძლია მიუთითოს იმაზე, რომ სესხი უშუალოდ მიიღო არა მან, არამედ სხვა მსესხებელმა, რომელიმე მსესხებლის მიერ სესხის მიღება გულისხმობს რომ სესხი მიიღო ყველა მსესხებელმა.
- გამსესხებელს უფლება აქვს მისი უფლებების რეალიზება მოახდინოს ყველა ან რომელიმე მსესხებლის მიმართ.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამსესხებელი გადასცემს მსესხებელს ფულად სახსრებს,ხოლო მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს მიღებული სესხი, დარიცხული საპროცენტო სარგებელი/საკომისიო/პირგასამტეხლო და სრულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

1.2. სესხის მიზნობრიობა: საბრუნავი კაპიტალი.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მსესხებლის საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია, აკონტროლოს სესხის მიზნობრიობა.

2. ძირითადი სახელშეკრულებო პირობები

2.1. სესხის ოდენობა (ძირითადი თანხა) და ვალუტა: _____ ლარი.

2.2. სესხის თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით მისაღები თანხა: _____ ლარი.

2.3. მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა (სესხის ძირითადი თანხა და ფინანსური ხარჯი) _____ ლარი

2.4. სესხის ვალუტა: ლარი

2.5. სესხის გაცემის თარიღი: _____

2.6. სესხის დაფარვის თარიღი: _____

2.7. სესხის ვადა: _____ . მსესხებელს უფლება აქვს, უპირობოდ და ყოველგვარი ხარჯის გარეშე მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის ვადის გახანგრძლივება კერძოდ, მსესხებელი უფლებამოსილია ამ პუნქტში მითითებულ ვადაში მიმართოს გამსესხებელს და მოითხოვოს სესხის ვადის გაგრძელება, შესაბამისად გამსესხებელი უზრუნველყოფს მსესხებლის მოთხოვნით, სესხის მოქმედების ვადის გაგრძელებას არაუმეტეს „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების” დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის N44/04 ბრძანებით (შემდგომ ‘’ბრძანება”) განსაზღვრული იმ ტიპის სესხისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური ვადით რომელი ტიპის სესხიც გაცემულია ამ ხელშეკრულებით. ვადის ათვლა განხორციელდება სესხის გაცემის მომენტიდან. სესხის მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, გამსესხებელი იხელმძღვანელებს ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მოქმედი ბრძანებით გათვალისწინებული მაქსიმალური ვად(ებ)ით.

2.8. სესხის ხელშეკრულების ვადა: _____ დღე.

2.9. სესხის ტიპი: ვაჭრობა და მომსახურება
2.10. სესხის დაფარვის პერიოდულობა: ყოველკვირეულად, თანდართული გრაფიკის შესაბამისა
2.11. კრედიტის გაცემის ერთჯერადი საკომისო: _____ ლარი;
2.12. სესხის საპროცენტო განაკვეთი: _____ %
2.13. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: _____ %
2.14. საპროცენტო სარგებლის ტიპი - ფიქსირებული.
2.15. ყოველკვირეული შენატანები (ძირითადი თანხა + პროცენტი) _____ ლარი.
2.16. სესხის და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვა ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის შესაბამისად (დანართი N 2).
2.17. მსესხებელს უფლება აქვს წინსწრებით დაფაროს სესხი მთლიანად ან ნაწილობრივ. სესხის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებელს არ ეკისრება რაიმე სახის საჯარიმო სანქცია ან საკომისიოს გადახდა.
2.18. მსესხებელს უფლება აქვს ვალდებულებები შეასრულოს: 1 გამსესხებლის სალაროში ფულადი თანხების შეტანით, 2 გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხების შეტანით/ჩარიცხვით 3 ვალდებულების შესასრულებლად საჭირო თანხები გადასცეს გამსესხებლის უფლებამოსილ პირს, რომელიც გადახდას მიიღებს გამსესხებლის საკუთრებაში არსებული მობილური გადახდის აპარატებით (ე.წ. „პოკეტი“).
2.19. მსესხებლის მიერ თანხის მობილური გადახდის აპარატებით (ე.წ. „პოკეტი“) გადახდისას, მსესხებელს დაეკისრება საკომისიო, რომლის გამოთვლის პრინციპი არის შემდეგი: ყოველდღიურად დარიცხული სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის 0.27%, სესხის გაცემიდან ან ბოლო გადახდიდან (რომელიც უფრო გვიანდელი თარიღია) იმ დღემდე, როცა მსესხებელი ისარგებლებს „პოკეტის“ მომსახურებით. აღნიშნული საკომისიო მსესხებელს არ ერიცხება/არ ეკისრება, თუ თანხებს გადაიხდის გამსესხებლის სალაროში ან ჩარიცხავს/შეიტანს გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე.
2.20. გამსესხებელი უფლებამოსილია დააკისროს მსესხებელს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე - ერთჯერადად 20 ლარი და ასევე ვადაგადაცილების მომენტში არსებული ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
2.21. ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ გადააჭარბებს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის. ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების (მათ შორის %) ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
2.22. გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელს დააკისროს ვადაგადაცილების პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან სხვა საფუძვლით შეწყვეტის შემდეგაც თუ მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებები არ არის შესრულებული.
2.23. მსესხებელი ვალდებულია სრულად დაფაროს სესხი და მასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები (პროცენტი, საკომისიო, პირგასამტეხლო). ამასთან, მხარეები ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, რომ მსესხებლის ფინანსური ვალდებულებები შეწყდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დაფარავს როგორც სესხის ძირითად თანხას, ისე დარიცხულ პროცენტს, პირგასამატეხლოს ან სხვა რაიმე სახის ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. დამატებითი პირობები

3.1. მსესხებელი თანახმაა, რომ მისი ფულადი ვალდებულება/ვალდებულებები შეასრულოს მესამე პირმა.
3.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.
3.3. გადახდა ჩაითვლება დადგენილ ვადაში განხორციელებულად, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის დღის სამუშაო საათებში გადასახდელი გადახდილი იქნება გამსესხებლისათვის. თუ გადახდის დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შემდგომი სამუშაო დღისა. სამუშაო დღე - ნებისმიერი კალენდარული დღე გარდა კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე დღეებისა. სამუშაო საათი - სამუშაო დღის 10 საათიდან 18 საათამდე, ხოლო შაბათის შემთხვევაში 10 საათიდან 14 საათამდე.
3.4. მსესხებლის მიერ ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად შემოტანილი თანხებიდან პირველ რიგში იფარება საკომისიო, პირგასამტეხლო (მათი არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ბოლოს-სესხის ძირითადი თანხა. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს გამსესხებლის შეხედულებისამებრ.
3.5. თუ მსესხებელს გააჩნია რამდენიმე სხვადასხვა სასესხო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება გამსესხებლის წინაშე, გადახდისას მსესხებელმა უნდა მიუთითოს თუ რომელი ვადამოსული ვალდებულების შესრულება/დაფარვა სურს. თუ მსესხებელი არ ირჩევს შესასრულებელ ვალდებულებას, გამსესხებელი ფარავს იმ ვადამოსულ ვალდებულებას რომელიც უფრო ადრე წარმოიშვა, ხოლო თუ ვალდებულებები წარმოშობილია ერთი და იგივე დროს, მაშინ ვადამოსულ ვალდებულებებს შორის იმას, რომლის მიმდინარე დავალიანებაც ყველაზე მაღალია.

3.6. თუ მსესხებელმა კონკრეტულ თარიღში არსებულ/მიმდინარე დავალიანებაზე მეტი ოდენობით თანხა შეიტანა გამსესხებლის სალაროში ან ე.წ. სწრაფი გადახის ტერმინალში ან შეიტანა/გადარიცხა გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე ან ისარგებლა ე.წ. „პოკეტით“, ზედმეტად შემოტანილი თანხით მცირდება სესხის ძირითადი თანხა.

3.7. ინფორმაცია უზრუნველყოფის საშუალებების შესახებ: _____

3.8. მსესხებლისათვის ცნობილია, რომ მის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამსესხებელს უფლება აქვს მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მიმართოს სასამართლოს ან პირდაპირ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მსესხებლის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის ან/და ინკასოს გავრცელება, გადახდევინების მიქცევა მსესხებლის ქონებაზე და შესაბამისად მსესხებლის სხვა უძრავი/მოძრავი ნივთების იძულებითი რეალიზება.

3.9. შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სტანდარტ ფინანსის“ წინაშე არსებული პრეტენზიები მსესხებელს შეუძლია წარადგინოს ზეპირად ან თავისუფალი წერილობითი ან სტანდარტული წერილობითი ფორმით გამსესხებლის ნებისმიერ ფილიალში ან ელექტრონული ფოსტის info@familycredit.ge მეშვეობით, რომელიც განხილული იქნება მაქსიმუმ 1 თვის განმავლობაში. განხილვის წესი და პროცედურა განთავსებულია ვებ გვერდზე http://familycredit.ge. პრეტენზიის შემთხვევაში ასევე უფლება გაქვთ მიმართოთ ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებას.

4. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

4.1. მსესხებელი აცხადებს, რომ:

4.1.1. ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და არ მოქმედებებს მესამე პირის დავალებით.

4.1.2. უფლება აქვს ხელი მოაწეროს წინამდებარე ხელშეკრულებას და იკისროს შესაბამისი ვალდებულებები.

4.1.3. მის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და მოწოდებული ინფორმაცია (დანართი N 1 - სესხის განაცხადი) არის უტყუარი და ზუსტი.

4.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ ადრე დადებული სხვა ხელშეკრულებების პირობების დარღვევას.

4.2. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ წინამდებარე მუხლში მითითებული გარანტიების დარღვევა უფლებას აძლევს გამსესხებლს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა და ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სესხის, პროცენტის და პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთვევაში) გადახდა.

5. მხარეთა უფლება მოვალეობანი და პასუხისმგებლობები

5.1. მხარეები ვალდებულნი არიან სათანადოდ შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.2. მსესხებელი ვალდებულია დროულად და სრულად დაფაროს აღებული სესხი და მასზე დარიცხული პროცენტი, ასევე პირგასამტეხლო (არსებობის შემთხვევაში).

5.3. იმ შემთხვევაში თუ გამსესხებლისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია, რომელიც შეეხება მსესხებლის საფინანსო მდგომარეობის ისეთ გაუარესებას, რამაც, გამსესხებლის აზრით, შეიძლება საფრთხე შეუქმნას სასესხო ვალდებულებების შესრულებას, მსესხებელი ვალდებულია გამსესხებლისაგან შეტყობინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში წარუდგინოს მას ამ გარემოებათა გამაბათილებელი დოკუმენტები.

5.4. გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებლის თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს მსესხებლის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის უფლება ან დატვირთოს (მაგ. დააგირავოს) აღნიშნული უფლება.

5.5. მსესხებელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს გამსესხებელს იურიდიული/რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივი მისამართის (ადგილსამყოფელის), ელექტრონულიფოსტის ან/და ტელეფონის ნომრის შეცვლის შესახებ. ასეთი ცვლილების შესახებ შეტყობინების განუხორციელებლობის შემთხვევაში, გამსესხებელი ხელმძღვანელობს წინამდებარე ხელშეკრულებით გაცხადებული მონაცემებით.

5.6. მსესხებელს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უფლება აქვს უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე მისი გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში:

5.6.1. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის ათვლა იწყება წინამდებარე ხელშეკრულების დადების თარიღიდან.

5.6.2. უარის თქმის სურვილის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია ზემოაღნიშნულ ვადაში, გამსესხებელს აცნობოს წერილობითი განცხადების წარდგენით/გაგზავნით გამსესხებლის ნებისმიერ ფილიალში. განცხადებაში იდენტიფიცირებული უნდა იყოს მსესხებელი და სესხის ხელშეკრულება, რომელზეც მსესხებელი აცხადებს უარს და ხელმოწერილი უნდა იყოს მსესხებლის/მინდობილი პირის მიერ.

5.6.3. უარის თქმის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია: უარის თქმის შესახებ განცხადების წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში გამსესხებელს გადაუხადოს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხა და ამ თანხაზე კრედიტით სარგებლობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი.

5.6.4. თუ მსესხებელი ვერ შეასრულებს 5.6.3 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას ამავე პუნქტში მითითებულ ვადაში, მისი უარი ჩაითვლება ანულირებულად. ხოლო მხარეთა შორის არსებული სასესხო ურთიერთობა გაგრძელდება წინამდებარე ხელშეკრულებითა განსაზღვრული პირობებით.

6. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

6.1. მსესხებელი აცხადებს, მისთვის ცნობილია, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სტანდარტ ფინანსი“ (ს/ნ 412717476, ქ. ქუთაისი, ფალიაშვილის 33):

6.1.1. შეაგროვებს/დაამუშავებს ჩემს შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება ჩემი გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

6.1.2. შეაგროვებს/დაამუშავებს ჩემი ფულადი გზავნილიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია მუშავდება ჩემი გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.1.3. ჩემი (მონაცემთა სუბიექტის/მომხმარებლის) მოთხოვნის შემთხვევაში, მისო „სტანდარტ ფინანსი“ ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცხადებული პერსონალური ინფორმაცია, ინფორმაციის მიმღებმა მხარემ - გამსესხებელმა, შეიძლება გამოიყენოს:

6.2.1. მსესხებლის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის მიზნით.

6.2.2. საინფორმაციო ხასიათის/გაფრთხილების/შეტყობინებების გაგზავნის მიზნით.

6.3. გამსესხებელს უფლება აქვს მისი უფლებები გამომდინარე წინამდებარე ხელშეკრულებიდან დაუთმოს მესამე პირებს ან დაავალოს მას დავალიანების მიღება, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული პირისათვის დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ინფორმაციის (მათ შორის მსესხებლის პერსონალური მონაცემების) გადაცემა.

6.4. გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის მსესხებლის პერსონალური მონაცემები) გადასცეს მესამე პირს მსესხებლის მიმართ არსებული მოთხოვნის უფლებრივად დატვირთვის (მაგ . დაგირავების) მიზნით.

6.5. გამსესხებელი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს გადასცეს მსესხებლის საიდენტიფიკაციო ან/და მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ის ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს როგორც მსესხებელს ისე მესამე პირებს , რომ საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ან მათი სუბ აგენტების მეშვეობით, მსესხებლის სასარგებლოდ გადაიხადონ თანხები.

6.6. თუ მსესხებლის/თავდების/უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებები არ ბარდება ადრესატს და შემდგომი სამართლებრივი ქმედებებისათვის (სარჩელის აღძვრა, გირავნობის მოწმობის აღება და ა.შ.) საჭიროა მსესხებლის/თავდების/უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის გაფრთხილება, გამსესხებელს უფლება აქვს გამოაქვეყნოს საჯარო შეტყობინება. რაც გულისხმობს, რომ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის ცნობილი გახდება მსესხებლის/თავდების/უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის პერსონალური მონაცემები, დავალიანების არსებობის და ოდენობის ფაქტი, ასევე უზრუნველყოფის საშუალებების შესახებ ინფორმაცია.

6.7. გამსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეს ან/და თავდებს მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულების ასლი ან/და მსესხებლის მიერ ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაცია..

7. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

7.1. გამსესხებელი უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მსესხებელს მოსთხოვოს სესხის ძირითადი თანხის დარჩენილი ნაწილის, ვადაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა, იმ შემთხვევაში თუ:

7.1.1. მსესხებელი გადააცილებს დაფარვის სულ მცირე ზედიზედ ორ ვადას და გამსესხებლის მიერ

შეტყობინების გაგზავნიდან ერთი კვირის ვადაში სრულად არ იქნება დაფარული ვადაგადაცილებული დავალიანება.

7.1.2. თუ უზრუნველყოფის საგანი განადგურდა, დაზიანდა, ღირებულება შეუმცირდა, და მსესხებელი ვერ შესთავაზებს გამსესხებელს სხვა (შესაბამის) უზრუნველყოფას.

7.1.3. მსესხებელი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ ვალდებულებას.

7.1.4. ნებისმიერი ისეთი გარემოების დადგომისას, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს სესხის დაბრუნების შესაძლებლობას.

7.2. გამსესხებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტამდე მსესხებლის მიერ ნაკისრი და შეუსრულებელი ვალდებულებები რჩება ძალაში.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე.

8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით (გარდა ხელშეკრულების 8.3 პუნქტით გათვალისწინებული გრაფიკის ცვლილებისა,) და ისინი განიხილებიან, როგორც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილები.

8.3. მსესხებლის მიერ სესხის ძირითადი თანხის წინსწრებით გადახდის შემთხვევაში, გრაფიკით განსაზღვრული პერიოდული შენატანები ავტომატურად მცირდება და ახალი გრაფიკის ნამდვილობისათვის არ არის საჭირო მსესხებლის თანხმობა/ხელმოწერა. ამასთან, თუ იფარება სესხის საწყისი ძირითადი თანხის მინიმუმ 20%, არანაკლებ 500 ლარის ოდენობით, მსესხებელს უფლება აქვს გრაფიკით განსაზღვრული პერიოდული შენატანების შემცირების ნაცვლად მოითხოვოს სესხის პერიოდის (ვადის) შემცირება.

8.4. პირგასამტეხლოს/საკომისიოს/სხვა გადასახდელის დაკისრება/გადახდევინება წარმოადგენს გამსესხებლის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. შესაბამისად, გამსესხებელი უფლებამოსილია არ მიიღოს გადაწყვეტილება მსესხებლისათვის პირგასამტეხლოს/საკომისიოს სრულად ან ნაწილობრივ დაკისრების შესახებ.

8.5. მსესხებლისათვის შეტყობინება შეიძლება მიწოდებული იქნას ა) მატერიალური წერილით, განაცხადში მითითებულ მისამართზე ბ) მოკლე ტექსტური შეტყობინებით, განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე გ) ელექტრონული ფოსტით, განაცხადში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. შეტყობინება მსესხებლის მიერ მიღებულად ითვლება: მოკლე ტექსტური შეტყობინების ან ელექტრონული ფოსტის შემთხვევაში, გაგზავნიდან მეორე სამუშაო დღეს. ხოლო მატერიალური წერილის შემთხვევაში მსესხებლისთვის ჩაბარების დღეს ან იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი საფოსტოს სერვისი განმცხადებელს აცნობებს რომ ადრესატმა წერილი ვერ ან არ მიიღო. ამასთან თუ შეტყობინება მსესხებლის მიერ გაცხადებულ მისამართზე ჩაიბარა ნებისმიერმა პირმა, ჩაითვლება მსესხებლის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებად. მსესხებელი ვალდებულია აცნობოს გამსესხებელს საკონტაქტო რეკვიზიტების ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამსესხებელი ხელმძღვანელობს განაცხადში მითითებული ინფორმაციით

8.6. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.7. მხარეები ვთანხმდებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები განხილული და გადაწყვეტილი იქნება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

8.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მსესხებელს, ხოლო ერთი გამსესხებელს.

გამსესხებელი	მსესხებელი/თანამსესხებელი